№ 40

კვირა, 21 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია



№ 40

კვირა, 21 თებერვალი, 1899 წ.



რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.



„ივერიის“ ტელეფონი № 227



## უკანასკნელი წარმოდგენა.

### ქართული თეატრი

შაბათს, 27 თებერვალს,

**ბენეფისი ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, ქ-ნ ეფ. მესხის, ნატ. რენელისა; ბ-ნ კ. ყიფიანის, ვ. გუნიასი და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

პირველად

I

ახალი პიესა

### თავ-აღებული

დრამა 3 მოქმედ. თარგ. ანეტა ჩიკვაიძისა

II

პირველად განახლების შემდეგ

### ეჭვები

ფარსი 3 მოქმედ. გადმოკ. თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასსაში.

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი,**

აუწყებს რა გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 2 მარტს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება სააღგილ-მამულო ბანკის სადგომში გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, სთხოვს იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც უფლება აქვთ კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა (1876 წელს გამოცემ. კანონთა კრებულის მე-9 ტ. მე 98 მუხ.), მობრძანდნენ დანიშნულ დროს კრებაზედ.

**განსახილველი საგნები:**

1) როგორ უნდა განაწილდეს, ტფილისის სათავად აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის წესდების მე-81 § თანახმად, რწმუნებულთა რიცხვი ტფილისის გუბერნიის მაზრათა შორის.

2. ტფილისის გუბერნიაში ეროვნის დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

3. იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული ტფილისის გუბერნიის მიწების დამიჯვნის საქმის ასაჩქარებლად.

4. იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში ნდობა ჰქონდეს და სესხის აღება შეეძლოს და ამ ბანკის თამასუქთა გამნაღდებელს კომიტეტში თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს და,

5) იმის შესახებ, რომ სასწავლებლებში მეფე ერეკლეს სახელობაზედ სტიპენდიები იქმნას დაწესებული.

(3—6.—2)

**ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ურთიერთა კრედიტის საზოგადოების წევრთა**

### საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 28 თებერვლისათვის, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიში 1898 წლ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მოხსენება ანგარიშის შესახებ.
4. 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5. არჩევანები: გამგეობის თავმჯდომარესი, გ. ს. განძიელის ნაცვლად, რომელსაც ვადა გასდის, ერთის დეპუტატსა თავ. ნ. ბ. ერისთავის ნაცვლად, რომელსაც აგრეთვე ვადა გასდის, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა. რწმუნების ქაღალდები წარდგენილ უნდა იქმნას კრების დაწყებამდე სამის დღით ადრე მაინც.

(3—6.—2)

### საჭიროა ნოქარი

გამოცდილი და კარგი მცოდნე გასტრონომიულისა და საბაკალეო ვაჭრობისა.

ადრესი: „შუამავალი“, კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა.

(5—6.—4)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. ხაცასარდიანი, 11—12 საათ. აღოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. შ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. ბერკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

ნოტარიუსის

### ლევან მღებროვის კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—16)


**მთავრობის განკარგულებანი**

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით ტფილისის სამ-

# ფელეტონი

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება.**

I

28 თებერვალს ლიხთ იმერის თავად-აზნაურთა კრებაა დანიშნული იმ წარმომადგენელთა რაოდენობის ამოსარჩევად, რომელიც ქუთაისის ბანკში უნდა იყოს. იმავე კრებაში იქმნება განხილული სხვა-და-სხვა საგანი ბანკის შესახებ.

ამ კრებასა აქვს დიდი, თითქმის ისტორიული მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში. ამ კრებაზედ, ეჭვი არ არის, პირველ და უმთავრეს საგნად იქმნება წამოყენებული „ჩვენის ფულის საქმე“. იმერეთის თავად-აზნაურობა თავისი „ჰო“-თი და „არა“-თი მარტო იმას-კი არ გარდასწყვეტს, ის ოთხასი ათასი მანეთი შეინახოს საშვილი-შვილოდ, თუ გაფლანგოს. არა, ეს თავად-აზნაურობა თავისის ისტორიულის ბედ-იღბლის გარდაწყვეტას მოჰკიდებს ხელს და ან ხეზედ ჩამორჩობას გარდაუწყვეტს თავისს თავს და ან სამარადისო საშვილი-შვილო საქმეს გააკეთებს.

გამოვიტანოთ, „შევჭამოთ“ და „შევსვათ“ ეს ფული, თუ დავსტოვოთ საზოგადო, საერო საგნისათვის? აი საკითხი მარტივი და გარკვეული თავისის გარეგნობით.

თუ თავად-აზნაურობა იმ ფულს დაიბრუნებს, ცოდვას ჩაიდენს ჯერ სამშობლოს და ერის და მერე ოჯახისა და წინაპართა წინაშე,—რაკი მამათა ანდერძს უღალატებს და დაარღვევს; თუ თავად-აზნაურობამ ეს ფულები გამოიტანა, რაღა თქმა უნდა, გადაჰყრის წარა-მარად და ამით თავისს დანიშნულებას და თავისს ადგილს ქართულ ერის შორის მოსპობს საუკუნოდ.

იქმნება ვისმეს ეჩვენოს, რომ ნახევარი მილიონი ფული არა ღირდეს ამდენ ლაპარაკად, ან ვერ წარმოიდგინოს, რომ შესაძლო იყოს ამ ფულის უკუღმართად დახარჯვას აგეთი დიდი შედეგი მოჰყვეს—ერში მთელის წოდების გამოსხლეტა. მაგრამ ეს ასე გახლავთ სწორედ და აი რატომ: ისტორიული მდგომარეობა ჩვენი იმგვარად მოაწყო ბედმა, რომ ერთად-ერთი საზოგადო საქმე, რომელსაც რაიმე პრაქტიკული კეთილი შედეგი მოჰყვა, ჩვენი ბანკებია; არა გვაქვს ჩვენ სხვა ისეთი დაწესებულება, რომ ჩვენს საზოგადო საქმეებს განაგებდეს. ჩვენ კრებებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს არავის თვალში, ამ კრებათა თხოვნა-ვედრება დარჩენილა ხოლმე ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ჩვენი ბანკები-კი წარმოადგენენ ერთ საერო დაწესებულებას, რომელსაც რეალური ძალა და ნიადაგი აქვს და ამიტომაც მათი დაწესება უნდა ჩაითვალოს ერთ უდიდეს პრაქტიკულ და ნაყოფიერ საქმედ, რომელიც შეჰქმნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა ჩვენში. წარმოიდგინეთ, ამ ბანკების წყალობით თავად-აზნაურობას აქვს, სხვა რომ არა ვთქვათ, ნახევარ მილიონზედ მეტი ფული შენახული, რომლის ხეირიანად მოხმარება ყოველთვის შეიძლება. უდიდესი და საუკეთესო შედეგი ამ ფულების დატოვებისა-კი ის იყო, რომ ჩვენა გვაქვს სამი სათავად-აზნაურო სკოლა (ერთი ტფილისში, ორი ქუთაისის გუბერნიაში), ამ სკოლებში იზრდება არა ნაკლებ 700—800 ყმაწვილისა და სწავლობს წერასა და კითხვას. მართალია, წერა-კითხვა-კი არა, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაც ვერა ჰქმნის პირუტყვს ადამიანად, მაგრამ ყოველს შემთხვევაში წერა-კითხვის ცოდნა ჰქმნის ერთ მეტ იარაღს ცხოვრებისათვის ბრძოლაში და ამ ბრძოლაში უპირატესობას აძლევს წერა-კითხვის მცოდნეს უცოდინართან შედარებით. ამის გაგება ძვალ-რბილში აქვს ყველას გამჯდარი და არცა ჰღირს ამის შესახებ ბევრი ჩიჩინი.

კაცობრიობის ისტორიის სულწასულობით აწონ-დაწონვა როდი შეიძლება. ერთისა და ორის წლისა-კი არა-ათისა და ოცის საუკუნის შრომა, ტანჯვა, სისხლის ღვრა და დაუღალავი მეცადინეობა დასჭირდა კაცს ველურობის მიტოვებისა და განათლებაში ფეხის შედგმისათვის. საუკუნოების სწავლა და მეცნიერება ძლივს ახერხებს, რომ ერთი თვალ საჩინო ნაბიჯი წარსდგას წინ კაცობრიობამ. მაშ, როგორ-ღა მოეთხოვება ჩვენ ერთ-ორ სკოლას და ისიც მხოლოდ ამ 15—20 წლის განმავლობაში დაარსებულს, რომ ჩვენი ქვეყანა პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებს ამოუყენოს გვერდით; როგორ შეგვიძლიან განვსაჯოთ ჯერ რა სარგებლობა მოუტანია ამ სკოლებს ჩვენთვის. ჩვენ-კი არა, იქნება ჩვენს შვილებსაც გაუჭირდეს იმ თვალ-საჩინო კეთილის შედეგის დანახვა, რომელიც ამ სკოლებს უეჭველად ექმნებათ ჩვენის ცხოვრებისათვის. მხოლოდ შთამომავალს ჩვენსას შეუძლიან დააფასოს და დაინახოს სარგებლობა ამ სკოლებისა და მაშინ სამარადისო სადიდებლად დაშთებიან ჩვენს ისტორიაში მათნი დამფუძნებელნი, მაგრამ საზოგადო საქმე იმით არავის განუსჯია, თუ დღესვე ყოველი კეთილი არ მომიტანა, აღარ ვარგაო. კეთილის აზრითა და გრძნობით დაარსებული საქმე უსათუოდ კეთილს ნაყოფს გამოიღებს, ოღონდ-კი დრო მიეცით, ხელი შეუწყეთ და ხელის შემშლელი გარემოება ჩამოაცალეთ.

თუ ეხლა ვერა ვგრძნობთ რა ძვირფასია ჩვენთვის ეს სკოლები, მაშინ გავიგებთ, როცა იგი აღარ გვექნება. ცხოველ-მყოფელ ძალას მზის სითბოსას, წყლის და ჰაერის მიუცილებელ საჭიროებას მაშინა ვგრძნობთ, როცა ერთის წუთით არის მაინც მოგვაკლდება ერთ-ერთი. ამიერ-კავკასიის მხარეში 11 გიმნაზიაა. შიგ იმდენი ქართველი მოსწავლე არ არის, რამდენიც ამ ჩვენ სამ სკოლაშია. აბა, გამოსდევნეთ ის 800 კაცი, რომელიც ჩვენ სათავად-აზნაურო სკოლებშია, სასწავლებლიდგან, რვაასი ოჯახი აატირეთ, და მაშინ ჰნახავთ, იყო თუ არა საჭირო ჩვენთვის ეს სკოლები. ამ სკოლების უპირატესობა მთავრობის სკოლებთან შედარებით კიდევ ის არის, რომ აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენს საგლეხო წოდებას. ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში 490 იდგან 56 საგლეხო წოდებისაა, ე. ი. 11,4%, მაშინ როდესაც მთავრობის 11 გიმნაზიაში საგლეხო წოდებას მარტო 3,5% შეადგენს (201 კაცი).

მაგრამ ყოველსავე ამას რომ თავი დავანებოთ, კიდეც რომ მდაგვი

ზრო პოლიციის სამმართველოს თარჯიმანი გვარამაძე.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 21 თებერვალს, მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესი, საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე სალამოს ლოცვას გარდაიხდის მართლ-მადიდებელთა სემინარიის ეკკლესიაში. ლოცვის შემდეგ საეკკლესიო საუბარი იქმნება წარმოთქმული სემინარიის ინსპექტორის ბერ მონაზონის დიმიტრის მიერ.

*** ყველიერების დღესასწაულებში, სცენის მოყვარეთა მიერ ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო კითხვების სადგომში, ორი სახალხო წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოდგენებს, სახელდობრ, გამართავენ ოთხშაბთს, 14, და შაბათს, 27 თებერვალს. ყველიერშივე, 25 თებერვალს, გამართული იქმნება სომხური სახალხო წარმოდგენაც.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებულ საკრებულოს, ტფილისის ვიცე-გუბერნატორის კ. კ. სტეფანოვიჩის თავმჯდომარეობით, დაევალა შედგენა ამ ბანკის დამაარსებელთა სიებისა და იმის გამორკვევა, თუ ვის რამდენი ფული უნდა დაუბრუნდეს ამ ბანკიდგან. საკრებულო, გაზ. „კავკ.“-ს სიტყვით, ამ ჟამად ამთავრებს მუშაობას. წევრ-დამაარსებელთა სიები შეუდგენიათ ზედამხედველ კომიტეტის წევრებს ბ-ნ ყიფიანს, თავ. ჯანდიერს და ლეონიძეს. 4 კრებაზედ საკრებულოს გამოურკვევია რამდენი აქვთ გასატანი ბანკიდგან თავად-აზნაურთ ტფილისის გუბერნიის მაზრებისა, გარდა გორის მაზრისა, რომლის შესახებაც საკრებულოს სხდომა ექმნება 3 მარტს. საკრებულოს თავისათვის სავალდებულოდ არ უცვნია იმის შესახებ ლაპარაკი, თუ რა სასარგებლო საქმეს უნდა მოჰხმარდეს ბანკიდგან დასაბრუნებელი ფული, რადგანაც ეს საქმე დამაარსებელთა ნება-ყოფლობას შეეხებაო.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება მოხდება ხვალ, 22 თებერვალს. კრებამ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: ქალაქის გამგეობის დადგენილება იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკის შორის მოხდა; ტფილისის გუბერნატორის წინადადება ქალაქის თვითმმართველობის იმ შუამდგომლობის არ შეწყნარების შესახებ, რომ მას ნება მიეცეს „ქალაქის საბჭოს ცნობათა“ გამოცემისა; ურთ-ერთ დამზღვევ საზოგადოების სარევიზიო კომისიის მოხსენება ბუჰალტერის თანაშემწის თანამდებობის დაწესების შესახებ და სხვა.

*** „ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებას“ აზრადა აქვს მარტში გამართოს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენა დასახელებულ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნება სამი პიესა—ქართულს' რუსულს და სომხურ ენაზედ.

*** 18 თებერვალს კრება ჰქონდა წევრთ-დამაარსებელთ „დედათა უმაღლეს კურსების შეუძლებელ მოსწავლე ქალების დამხმარებელ საზოგადოებისა“. კრებამ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების წესდების პროექტი, ამასთან დაადგინა წარუდგინოს იგი პროექტი მთავრობას დასამტკიცებლად.

*** უმაღლესმა მთავრობამ მოსთხოვა ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს დაწვრილებითი ცნობები იმ სოფლის საზოგადოებათა შესახებ, რომელთაც ჩამოერთვათ მამასახლისის არჩევის უფლება; ამასთან უნდა აღნიშნონ ისიც, თუ რა მიზეზით ჩამოართვეს სოფლის საზოგადოებათ ეს უფლება.

*** როგორც ვუწყით, მეთამაქოობის განსავითარებლად ჩვენს ქვეყანაში, მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს გამართოს ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს სამაგალითო პლანტაცია. მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის განკარგულებით, აგრონომს ტიმოფეევს დაევალა ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრაში დაათვალიეროს სახელმწიფო მიწები და ამოარჩიოს ისეთი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება ხსენებულ პლანტაციის გამართვა.

*** როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთები იუწყებიან, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოუგზავნა მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს განსახილველად და თვისის აზრის გამოსათქმელად მასწავლებლად ნამყოფის როსტომაშვილის მიერ შედგენილი პროექტი ტფილისში ბაღოსნობის, მებოსტნეობის, მეღვინეობის და მეფუტკრეობის პრაქტიკულ კურსების დაარსების შესახებ.

*** ქუთაისიდგან დეპეშით ატყობინებენ ადგილობრივ გაზეთებს, რომ დიდი თოვლის გამო 19 თებერვლიდგან ქუთაისსა და ტოლას შუა გზა შეკრულიაო.

*** გაზ. „კავ.“-ს სიტყვით, თელავის მაზრის სოფ. საცხენის მცხოვრებთ მთავრობამ ნება დართო მიეცეთ მათ სასოფლო სამეურნეო თანხიდგან დროებით 400 მანეთი. ამ ფულით მცხოვრებთ უნდა შეიძინონ ორი ნაჭერი მიწა საცხენისშივე. სესხი ოთხის წლის ვადით მიეცათ.

*** გაზ. „Новости“ სწერს, რომ „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ დააარსებს ამ ახლო მომავალში კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში ახალს სამისსიონერო განყოფილებებსაო.

*** გორის მაზრის სოფ. კინწვისის, სანების, ვედრისის, კეხი-ჯვარის და ზემო და ქვემო აკარის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ სოფ. კეხი ჯვარში დაარსებულ იქმნას საერო განათლების სამინისტროს პირველ დაწყებითი სასწავლებელი. სამოსწავლო მთავრობა დაჰპირდა მცხოვრებთ იშუამდგომლოს, რომ ხაზინამ განზრახულ სკოლისათვის ყოველ წელიწადს გადასდოს 100 მანეთი.

*** ქვემო-ქიზიყი. ღვინის ფასი თან-და-თან მატულობს და ასეც უნდა მომხდარიყო,—რადგანაც სიღნაღის მაზრაში სულ ოთხიოდე სოფელში მოვიდა ღვინის გულუხვი მოსავალი და მთელს ქვემო-ქიზიყში ხომ თითქმის არა იყო-რა იმ მიზეზით, რომ 98%-ტმა გლეხობისამ არ უწამლა ვენახებს.

მოატანა გაზაფხულმა და სულადის ფასი ნელა-ნელა ძირს ეშვება, რადგანაც მოსავალს კაი პირი უჩანს და რომელნიც აქამდის შიშობდნენ სულადის გასყიდვას, დღეს იმათაც ბადიმ-კარი გაუხსნეს თავიანთ ამბრებს, ორმოებს და ბეღლებს.

*** თელავიდგან გვწერენ, რომ 18 თებერვალს, საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს სახელწოდების დღეს, თელავის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ სასწავლებელმა გაუგზავნა ეგზარხოსს მილოცვის დეპეშა.

*** ბორჩალოს სამაზრო ადმინისტრაციამ, როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ მაზრის საბოქაულო ნაწილები—თრიალეთისა და ლორიისა, ორ-ორ ნაწილად იქმნას გაყოფილი.

*** ბ-ნ დავიდოვის წინადადება ქალაქის ქუჩების ასფალტით მოკირწყვლის შესახებ ქალაქის გამგეობამ ხელოსან-ტეხნიკოსთა კომისიას გარდასცა განსახილველად.

*** როგორც „Кавк. Сельс. Хоз.“ იუწყება, ლაგოდეხში დაარსდა ამხანაგობა, სახელად „შრომა“, რომელსაც აზრადა აქვს აბრეშუმის თესლის მომზადება და აგრეთვე საუკეთესო ჯიშის ხე-ხილის სანერგის გამართვა. ეჭვი არ არის, ეს ამხანაგობა, თუ საქმეები კარგად წაუვიდა, ბევრს სარგებლობას მოუტანს მთელს კახეთს.

*** ბაქოდგან სწერენ „მშაკ“-ს, რომ ამ დღეებში კასპიის ზღვაზედ უბედურება მოხდაო. მეშიდისერში, ნავთსადგურიდგან 2 ვერსის მანძილზედ გაჩერდა გემი. გემიდგან ნაპირზედ ნავით რამდენიმე მოგზაური გამართა. გზაზედ ნავი გადაბრუნდა და ოთხი კაცი დაიღუპა: „კავკას და მერკურის“ აგენტი, ორი ნოქარი ამ საზოგადოებისა და ერთი მეურნალი.

*** 18 თებერვალს, ამიერ-კავკასიის გზაზედ, 89 ვერსზედ, ვაგონებიდგან შპალების გადმოზიდვის დროს მუშა ფარსადან პუტურიძე ძალიან დაშავდა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** სამშაბათს, 9 თებერვალს, მოხდა კრება ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა ამავე საზოგადოების სკოლათა ინსპექტორის მისიონერის ბ-ნ ევტიხი მამინაიშვილის შემდეგი მოხსენებანი:

1, ქართველ მაჰმადიანთ, რომელნიც მიიღებენ ქრისტიანობას, დაეთმოთ ცალკე საცხოვრებლად სამოსახლკარო, სახნავ-სათესი სახელმწიფო ადგილი, რომ მართლ-მადიდებლობის მიღების შემდეგ მათ თავისუფლად და

---

ტკიცოს ვინმემ უვარგისობა ეხლანდელის სკოლებისა და სხვა უკეთესი აღმოგვიჩინოს,—ეს დღეინდელ საგანს არ შეეხება. კიდეც რომ დავსთანხმდეთ, ეს სკოლები უვარგისიაო—აქედან მხოლოდ ის უნდა დავასკვნათ, რომ მრავალის ნაკლულევანების მიუხედავად, ეს სკოლები დიდი განძია ჩვენის საერო განათლებისათვის და თუ კიდევ უკეთესს რასმე დავაარსებთ ამ აზრით—წერა-კითხვისა და საზოგადოდ სწავლის გასავრცელებლად,—ეს სულ უკეთესი იქმნება. საქმე აქ შეეხება იმ ფულს, რომლის წყალობითაც არსებობს ეს ჩვენთვის უსაჭიროესი საქმე. 20 წლის წინად ჩვენმა მამა პაპებმა, ჩვენის იმდროინდელის მეთაურების ჩაგონებითა და რჩევით, ამდენი ფული შესწირეს სამარადისო საქმეს—შვილთა აღზრდა-განათლების საგანს. დღეს, 20 წლის შემდეგ, ეს საგანი ისევ წინ აემართა თავად-აზნაურობას და თუ მან უღალატა თავისის მშობლების სურვილსა და აზრს, იგი ისტორიულ დანაშაულობას ჩაიდენს ამ მშობლების წინააღმდეგ და თავისს საერო მნიშვნელობას სამარეს გაუთხრის.

ზემოდაცა ვთქვი და ეხლაც ვამბობ, ჩვენ ხელთ არაფერი საზოგადო საქმე არ არის. მართალია, თავად-აზნაურობის იმედი უნდა გვქონდეს იმ დაწესებულებათა შემოღების ცდაში, რომელიც უეჭველად ჩვენს ერს წარმატების გზაზედ დააყენებს (ერობა, ნაფიცთა სასამართლო და სხვა), მაგრამ ეს ჯერ შორეული საქმეა, ჩვენს ნებაზედ სრულიადაც არ არის დამოკიდებული და ისეთი სახიფათოა, რომ შეიძლება რამდენი სამე ათის წლით შეჩერდეს.

ეს საქმე-კი ჩვენთ ხელს არის, მარტო და მხოლოდ ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, ჩვენ მამა-პაპათაგან შექმნილია და ჩვენ არავითარი საგრძნობელი მსხვერპლი არ მოგვეთხოვება, როგორც საბუთებითაც დავამტკიცეთ ამას წინად („ივერია“, № 6). ჩვენ უნდა ვთქვათ მხოლოდ, რომ ის ფული, რომელიც დღემდის არა გვქონდა და არც მოველოდით თუ გვექნებოდა, რომ საქმე სხვა რიგად არ დატრიალებულიყო,—უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ფული იმავე საგნისათვის დარჩეს, რისთვისაც იყო დანიშნული. არ უნდა გაგვიტაცოს წუთიერმა ინტერესებმა და ვნებამ იმდენად, რომ ჩვენისავე თავის დასაკლავი დანა თვითვე გამოვჩხრიკოთ. შესაძლოა და ნამდვილადაც, ქართველი ერი იმით არ დაიღუპოს, რომ თითქმის ასი ათასი მისი წევრი განადგურებისა და თვით მოსპობის გზაზედ დაადგეს, მაგრამ „ქართველობა იმდენად მდიდარი როდია ხალხით, რომ არაფრად ჩააგდოს 85,952 ადამიანის ბედი, მის საკუთარ ბედში ისე ღრმად და ამოუფხვრელად ჩაწნული“ (ნ. ნიკოლაძე „მოამბე“ № IX 1894 წ. შინ. მიმ.) და სულაც რომ არა დააკლდეს რა ერს, ნუ თუ თვით ამ წოდებას, რომელსაც ავად იყო თუ კარგად დიდი ისტორიული როლი ჰქონდა და მნიშვნელობა, ნუ თუ, მეთქი, ამ წოდებას აღარ შერჩენია აღარავითარი საზოგადოებრივი ინსტიქტიური გრძნობა და აღარავითარი თავმოყვარეობა და სურვილი სახელის მოხვეჭისა—ნუ თუ? აი ამ საკითხს გასცემს პასუხს 28 თებერვლის კრება და ყველა, ვისთვისაც ქართველის საზოგადოების საქმე უმთავრესს საგანს შეადგენს ცხოვრებისას, გულის ცემით ელის ამ კრებას. იმერეთის ინტელიგენციამ, რომელსაც ჩვენ საზოგადო საქმეებში დიდი დანაშაული მიუძღვის (მე უმეტესობა მაქვს სახეში, განსაკუთრებით უკანასკნელის 20—15 წლის ინტელიგენცია), დღეს უნდა გამოიყიდოს მან თავისი დანაშაული და აღადგინოს თავისი დაცემული სახელი. ის გულ-გრილობა, დაუდევრობა და კერძო-პირადის ინტერესის გამეფება საზოგადო საქმეებში, რომლითაც ქუთაისის ინტელიგენციამ სახელი გაითქვა, უნდა უკუ-გდებულ იქმნას, უნდა შევებრძოლოთ იმას ყოველის ღონისძიებით და საშვილიშვილო საქმე არ დავღუპოთ.

II

მეორე საგანი და ესეც დიდ-მნიშვნელოვანი ის არის, თუ როგორ მოვიხმაროთ ახალი წესი ქუთაისის ბანკის საქმეების საუკეთესოდ წასაყვანად?

ჩვენ ვრცელი წერილი გვქონდა დასტამბული ქუთაისის ბანკის შესახებ („ივერია“ 1897 წ. № 93, 94), ეს წერილი გამოიწვია ბ ნ მაიაშვილის წერილებმა „ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის საქმეების შესახებ“ („მოამბე“) 1896 წ. № XII, 1897 №№ 1,II,IV). იქ დაწვრილებით აღნუსხული გვქონდა ის ზნეობრივი და ქონებრივი ზარალი, რომელიც მოჰყვა „კლიკატიზმად“ მონათლულის მიმართულების გამეფებას ბანკისა თუ სხვა საზოგადო საქმეებში.

„ნურავინ იფიქრებს“, ვამბობ ეით იქა „ჩვენ ისეთ გენიოსად, ან ისეთ რამედ მიგვაჩნდეს, ვინმე ქუთაისელი „ეგრედ წოდებული ინტელიგენტთაგანი“, რა სახელიც უნდა ერქვას, რომ გვეგონოს შეუძლია რაიმე მიმართულება შეჰქმნას, დაჰბადოს ანუ შეჰსძლოს მისი მეთაურობა. არა, ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელს ხანას თავი იჩინა საზიზღარმა მავნე მოვლენამ, აღმაშფოთებელ-ამ უმსგავსობამ. ამ მოვლენას თავში უდგანან ისეთი კაცები, რომელთაც მაღლად აუპყრიათ პირადის ინტერესებით მოქარგული დროშა და მეოთხმოცე წლების ჩვენის ინტელიგენციის სადიდებლად უნდა ვთქვათ, რომ ეს დროშა იმათ დაისაკუთრეს.

„ქუთაისის ბანკის უკავასკნელს კრებებზედ საშინელის ცინიზმით იყო განდევნილი ყოველივე, არ ვიტყვი იდეალური მოსაზრებანი, ეს მეტად მიუწვდომელი რამ არის იმერეთში ეხლახან გამეფებულის ინტელიგენციისათვის, არამედ უკუ გდებული იყო ყოველივე სიტყვა საქმის სერიოზულად გარჩევისა და განსჯის შესახებ. ამ მოვლენამ თვით რუსულის ჟურნალ-გაზეთობის ყურადღება მიიქცია.

„ამ დროშას ქვეშ შეუყრია თავი ისეთს ხალხს, რომელიც სდევნის ყოველგან დ ყოველის ღონისძიებით კაცს, რომელსაც თავისი სიცოცხლე შეუწირავს ქვეყნის სამსახურისათვის, ან მზად არის მაგ სამსახურს შესწიროს თავი. მეძებრების გასაოცარის ყნოსვით იგრძნობენ ხოლმე ამისთანა კაცს და ყოველსავე ღონეს ჰხმარობენ იმის დასამხობად“.

ჩვენი სიტყვა რომ არავის ეჩვენოს უსაფუძვლოდ ღადადისად—გავახსენებ მკითხველებს იმ უწესოებებს ქუთაისის ბანკის უკანასკნელ კრებაზედ, რომელთაც გამოიწვიეს ამ კრებების აღკრძალვა და ჩვენის ბანკების წესდების შეცვლა; გავახსენებ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრებას, როცა თ. კირილე ლორთქიფანიძეს ირჩევდნენ დირექტორად; მოვაგონებ „ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ საქმეს, და სხვა მრავალ ჩუმ-ჩუმ აგიტაციებს, რომელთაც მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდათ,—ამ საზიზღარის მიმართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყუდროდ შეეძლოთ ცალკე ცხოვრება. რადგან ახლად მონათლულები ძალა-უნებურად იძულებულნი არიან იცხოვრონ ძველს საბინადრო მიწა-წყალზე, სადაც მათ სასტიკად ჰკიცხავენ და სდევნიან წინანდელი მათი ერთ-მორწმუნე მაჰმადიანები, მით უფრო საჭირო ხდება მათთვის ცალკე სახელმწიფო ადგილის დათმობა. ამ ნაირი კერძო საცხოვრებელი ადგილები უნდა გადაიდოს მათთვის ბათუმსა და ზაქათალის ოლქებში და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში. კრებამ სცნა სასურველად ამ აზრის განხორციელება და იკისრა შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, საქმის სისრულეში მოსაყვანად.

2, ახალციხის მაზრის სოფელ ვალეში დაარსებული სკოლა, ამავე ინსპექტორის მოხსენებით, კრებამ დაადგინა გადაკეთდეს ორ-კლასიან სასწავლებლად.

3, მისისავე მოხსენების თანახმად, ვალეს სკოლის მასწავლებელი ბ-ნი გაბრიჩიძე, როგორც სამაგალითო მშრომელი და ფეხზე დამყენებელი სკოლისა, დაჯილდოვებულ იქმნა ორასის მანეთით. ეს საჩუქარი უნდა ეძლიოს ბ-ნ გაბრიჩიძეს, უკეთუ იგი კიდევ განაგრძობს თავისებურ შრომას.

4, მისისავე მოხსენებით, კრებამ ნება დართო თიანეთის სკოლის მასწავლებლებს, რომ გამართონ სახალხო კითხვები ბუნდოვანის სურათებით.

5, კრებამ, ბ-ნ მამინაშვილისავე მოხსენებით, ამოარჩია ცხმარის (სვანეთში) სკოლის საპატიო მზრუნველად თავ. ბექირბი დადეშქელიანი, რომელმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ხსენებულს სოფლის სკოლას ზნეობრივად—ხალხის შეგონებით და ქონებრივად—სასკოლო შენობისთვის მიწის შეწირულებით. აგრეთვე ფარის და ლახამურის (სვანეთშია) სკოლების საპატიო მზრუნველად კრებამ აღძრა შუამდგომლობა, რომ დაინიშნოს თავადი თათარყან დადეშქელიანი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სვანეთში და შემწეობას აძლევს ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების სკოლებს.

6, თანახმად ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის მოხსენებისა, კრებამ გადასწყვიტა ასესხოს ტფილისის სიონის სიძველეთა-საცავს ორასი თუმანი სხვა-და-სხვა ძველ ხელთ-ნაწერების ცალკე წიგნებად გამოსაცემად. ვალი სიძველეთა-საცავმა უნდა გადაიხადოს წიგნებით.

*** „ივერიის“ მე-39 №-ში რუსულის გაზეთებიდგან გვქონდა გადმობეჭდილი, რომ ბ-ნმა ანტონ ფურცელაძემ წინადადება შეიტანა თავად-აზნაურთა მოლაპარაკების დროს, რომ მომავალს თავად-აზნაურთა კრებას წარედგინოს განსახილველად საგანი ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. ჩვენ გვთხოვენ შევასწოროთ, რომ ეს წინადადება ანტონ ფურცელაძემ-კი არ შეიტანა, არამედ დუშეთის მაზრის წინამძღოლმა გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზიშვილმა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ქვემო-გომი,** (გორის მაზრა). ამ სოფელსა და კასპის სადგურს შუა ჩამოდის მტკვარი, რომელზედაც ნავით გავდი-გამოვდივართ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ნავი დამპალია და წყალი თავისუფლად შედის შიგ. ამას ვიღა სჩივის, თუ-კი გასვლა-გამოსვლა დროზე გადირსა ნავის პატრონმა. რომ გსურდეთ კასპში გასვლა, უწინ სოფელი უნდა შემოიაროთ, მენავე იპოვნოთ (თუ იპოვნეთ) და შემდეგ მასთან ერთად ნავისაკენ წახვიდეთ. უარესი დღე ადგია კასპის სადგურიდგან მიმავალს მგზავრს: სოფელი სანაოდგან კარგა მოშორებით არის და იმდენი უნდა უყვიროთ მენავეს, სანამ გააგონებდეთ. კიდევ რომ გააგონოთ, ვინ იცის, როდის გადირსებთ ნავს. ეს ნავი ეკუთვნის აქაურს ორს კომლს, რომლებიც რიგ-რიგით თითო კვირას ამუშავებენ, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს ფიქრადაც არ მოსდის, რომ მდინარეზედ მიმოსვლა წესიერად მოაწყონ. ეს კაყბატონები ცოტა შრომითაც სამყოფს ფულს იღებენ მგზავრებისაგან და მიმოსვლის რიგიანად მოწყობა ხომ მეტი შრომა იქნება იმათთვის. მტკვრის მარჯვენა ნაპირი სასოფლოა, მაგრამ ნავის პატრონები არამც თუ იჯარას არ იხდიან სოფლის სასარგებლოდ, უფასოდაც არ გაჰყავთ აქაურები. აი, სოფლის ორნაირად შეთლა სწორედ ეს არის!

ამ სოფლიდგან ორი-სამის ვერსის მანძილზედ ამოდის მშვენიერის თვისებების გაჯი, რომელსაც ეზიდებიან როგორც ახლო-მახლო სოფლებში, აგრეთვე გორსა და ტფილისშიაც. ის ადგილი, სადაც გაჯი ამოდის, ქვემო-გომის საკუთრებაა და შემოსავალიც სასოფლოა. მაგრამ ამ საქმის წარმოება სოფლისათვის არასასურველს მდგომარეობაშია: ვინც მოასწრობს გაჯის წამღებს, ის ახდევინებს ფულს საკუთარის ჯიბის სასარგებლოდ და საზოგადო საქმე-კი ნაროყალაზედ რჩება. აქედგან იბადება მცხოვრებთა შორის მრავალ-გვარი უსიამოვნება და აყალმაყალი. ან-კი როგორ მოაწყოს სოფელმა წარმოების საქმე, როცა გულშემატკივარი და ხეირიანი მოთავე არავინა ჰყავს!

ა—ლი

## რუსეთი

სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, თებერვლის გასულს შეუდგება მუშაობას ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ისეთის ბანკის წესდების შემუშავება, საიდგანაც წვრილის კრედიტის გატანა შეიძლებოდეს. კომისიაში მონაწილეობას იღებენ წარმომადგენელნი ფინანსთა, მიწადმოქმედებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსი, სახელმწიფო კანტროლისა და მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

— იგივე გაზეთები იუწყებიან, რომ საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტთან არსდება განსაკუთრებული განყოფილება, რომელსაც დედათა საპროფესიონალო განათლების საქმე ექმნება მინდობილი. განყოფილების უფროსად დანიშნულ იქმნება ქალი. ეს პირველი მაგალითია, რომ ქალს ასეთ მაღალ თანამდებობაზედ ჰნიშნავენ.

— რადგანაც ამ ბოლოს დროს რუსეთის სხვა და სხვა ადგილას დაარსებულ იქმნა საელექტრო ტეხნიკო სასწავლებელი, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რამდენიმე კაცი, საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებული საზღვარ-გარეთ გაგზავნონ მასწავლებლობისათვის მოსამზადებლად.

— როგორც „Нов.“-ი იუწყება, მომავალის წლიდგან ზოგიერთ დედათა გიმნაზიასთან დაარსებულ იქმნება უფასო სკოლები ღარიბ დედ-მამის ბავშვთათვის. მასწავლებლებად იქმნებიან საპედაგოგიო კლასების მოსწავლე-ქალები.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში დაარსებულ იქმნას ახალი სახელოსნო სკოლები.

— აზრადა აქვთ ფინლანდიაში დააარსონ დედათა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

## უცხოეთი

**ვენგრია.** ვენგრიის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი კოლომან სელი დიდი ხანია, რაც მოღვაწეობს საპოლიტიკო ასპარეზზე. იგი ფინანსთა მინისტრად იყო კოლომან ტისას მთავარ-მინისტრობის დროს, და ორ წელიწად ნახევრის განმავლობაში მშვენივრად დააყენა ვენგრიის საფინანსო საქმეები. 1878 წლის ოქტომბერში სელი სამსახურიდგან გადადგა, რადგან ახლად შემოერთებული ბოსნია და ჰერცოგოვინა დიდს ხარჯს თხოულობდა, და იგი წინააღმდეგი იყო ამ ხარჯისა, ეშინოდა—ვაი თუ ვენგრიის ფინანსები ისევ დაეცესო. სელის სამსახურიდგან გასვლამ კინაღამ დასცა მთელი კაბინეტი. ამას შემდეგ სელს მთავრობისაგან შორს ეჭირა თავი; ის მხოლოდ დეპუტატად იყო პარლამენტში. ამ დროსვე ის თავმჯდომარედ იყო ვენგრიის საურთიერთო ნდობის ბანკისა და ამ საქმის ფეხზე დაყენებით დიდად წასწია წინ ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობა. სელი მართლაც რომ ფრიად საყურადღებო კაცი უნდა იყოს, რადგან მარტო იმან მოახერხა ამ გაჭირვებულ დროს სხვა-და სხვა დასების ერთმანეთთან მორიგება და კაბინეტის შედგენა.

—

**საფრანგეთი.** რესპუბლიკის პრეზიდენტის ლუბეს დაწვრილებითი ბიოგრაფიულ ცნობებს იუწყებიან გაზეთები:

ლუბეს მამა შეძლებული გლეხი იყო მარსანში, რომელიც მდებარეობს ვერს-ნახევარზე მონტელიმარიდგან. მისი ძმა ექიმია და დღესაც მონტელიმარში სცხოვრობს. დედა მისი 86 წლის ქალია ესლა და თითონ უვლის თავისს ოჯახს. გაზეთ „Figaro“-ს თანამშრომელი წასულა ამ მოხუცებულ ქალთან გასაგებათ, თუ როგორ იმოქმედა მაზედ მისი შვილის პრეზიდენტად არჩევამ. კორესპონდენტი ამბობს, რომ ამ ამბავმა სრულებითაც არ გაახარა მოხუცებული დედაო. პირ-იქით, ის თურმე ძლიერ სწუხს, რომ ჩემს შვილს დიდი შრომა და ტანჯვა მოელისო, და ამის შემდეგ კიდევ უფრო ძვირად მომიხდება იმის ნახვაო.

ლუბეს სამი შვილი ჰყოლია: ერთი გათხოვილი ქალიშვილი, ერთი ვაჟი 26 წლისა, რომელიც მამასთან არის მდივნად და ერთიც ექვსი წლის ვაჟი.

ლუბე ვერა ყოფილა დიდი შეძლების კაცი. გაზეთები ეჭვში არიან, მოახერხებს თუ არა ის, თავისი სასახლე კარგად მორთოს და საზოგადოდ დღესასწაულებს ელისეს სასახლეში მდიდრული ხასიათი მისცესო. რაც შეეხება რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯამაგირს, ეს გამორკვეული არა ყოფილა არც კანონით და არც კონსტიტუციით; იგი ყოველ წლობით შედის თურმე სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში. საკუთრივ ჯამაგირს 600,000 ფრანკამდე იღებს პრეზიდენტი; სამოგზაუროდ და სხვა-და-სხვა დღესასწაულებზე დასასწრებლად 1873 წ. მიეცა 163,400 ფრანკი, მერმეთ ეს ფული ავიდა 300,000 ფრანკამდე, და 1876 წლიდგან დღემ-

---

ლების ყოველი წინააღმდეგი წუმპეში ჩაეთრია და გაესვარა,—მე ამაებს არ ვასახელებ, ყველამ ვინც კი ქუთაისის საზოგადო საქმეებს შორიდგან მაინც ადევნებს თვალს, კარგად იცის და მიხვედრილიც არის, რაზედ არის ლაპარაკი, მაგრამ ზნეობასთან თუ მწყრალად ვართ და არ მიგვაჩნია იგი საყურადღებოდ,—გაითვალისწინეთ ქონებრივი ზარალი, რომელიც ახალის მიმართულების გამგეობამ მოიტანა.

ბანკის კეთილდღეობა შემოსავალია იმ პროცენტებისა, რომელსაც იხდის მსესხებელი. მაშ რაც მეტია სესხი გაცემული, ბანკსაც იმდენად მეტი შემოსავალი აქვს და მისი საქმეებიც უკეთ მიდის. ქუთაისის ბანკის სესხი კი დღითი დღე კლებულობს და თითქმის დაუჯერებელ სიმცირემდის მიდის უკანასკნელის ექვსის წლის განმავლობაში. მაშინ როდესაც 1887 წლამდის ქუთაისის ბანკს ჰქონდა გაცემული თითქმის ოთხის მილიონის და ნახევრის სესხი; 1887 წლიდგან 1896 წ. ჰქონდა გაცემული მხოლოდ ორ მილიონზედ ცოტა მეტი, ე. ი. უკანასკნელის 10 წლის განმავლობაში სესხს თითქმის ორი მილიონი უკლია და სულ რო ცოტა ვიანგარიშოთ, ბანკს ამის წყალობით 80 ათასი მანეთი *) სარგებლობა დაუკარგავს, ქუთაისის ბანკის ეხლანდელის გამგეობის სადიდებლადა და სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ 1892 წლიდგან სესხი უფრო თვალ-საჩინოდ ჰკლებულობს და 1894-ში თითქმის ნახევარი მილიონი მოაკლდა ერთის წლის განმავლობაში. როცა ბანკს სესხი აკლდება, შემოსავალიც აკლდება და თუ ამას ისიც დაერთო, რომ დაგირავებული მამული უფრო ნაკლებ ფასად გაიყიდა, ვიდრე დაგირავებული იყო და ამგვარი მამულები ბევრი გამოჩნდა, ბანკი გაკოტრების გზას დაადგება. ქუთაისის ბანკის შემოსავალი მცირდებოდა და ზარალიც იზრდებოდა ახალის გამგეობის ხელში. ზარალი ბანკისა დღევანდელის გამგეობის გამეფების შემდეგ უდიდესს ხარისხამდის მიდის 1891—1894 წლებში ქუთაისის ბანკს უზარალია 206,512 მანეთი, ე. ი. 2½ მეტი, ვიდრე 1882—1890 წლებში—ე. ი. ცხრა წლის განმავლობაში. ამას გარდა 1891—1894 წლიდგანვე 75 ქალაქის მამული გაჰქცევია ბანკს და ტფილისის ბანკში გადასულა. ეს 75 მამული ბანკში თითქმის ნახევარ მილიონად იყო დაგირავებული და, სულ ცოტა ვთქვათ, ათი ათასს მანეთს სარგებლობას იძლეოდა **). მაშინ როდესაც ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის მოგებამ უკანასკნელ წლებში 200,000 მან. გადააჭარბა, ქუთაისის ბანკი 30,000 ძლივს იღებდა. ასე რომ ტფილისის ბანკი თავნ ფულის მანეთზედ მანეთს იგებდა და ქუთაისისა—მანეთზედ რვა კაპეიკსაც ვერ იღებდა. როდესაც ტფილისის ბანკმა ისეთი მამულები შესძინა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას, რომელიც რამდენსამე ათი ათასს მანეთს იძლევა (არწრუნისეული ქარვასლა და სახლები ტფილისის სხვა-და-სხვა საუკეთესო ქუჩებზედ), როდესაც ქუთაისის საკრედიტო საზოგადოებამ ერთი საუკეთესო სახლთაგანი წამოსჭიმა შუაგულ ქალაქში, მაშინ ჩვენ ბანკს თავისი სადგომიც ვერ შეუძენია.

რატომ სხვებმა არ გააკეთესო, თუ გვიპრძანებს ეს გამგეობა, ეგ იქმნება ერთი კიდევ მეტი საბუთი მისის უძლურებისა. მისმა „ამქარმა“ ხომ იმიტომ აირჩია ეს გამგეობა, რომ საქმე უკეთესად წაეყვანა, ვიდრე სხვებს მიჰყავდათ, და მერე რა შეუწუხებლად, უკონტროლოდ და უდავი-დარაბოდ ჰფლობენ ეს ცხრა ათი წელია ამ ბანკს. არც კრება აწუხებდა, არც ანგარიშების შედგენა, დამშვიდებულად შეეძლოთ დაემტკიცებინათ თავისი ძლიერება და ჩვენი შეცდომა. ეხლა-კი ჩვენ ნიშნის მოსაგებად გაუხდათ საქმე. სხვებს ოთხ მილიონ ნახევრის სესხი მაინც ჰქონდათ გაცემული, ახალს-კი ეს ოთხი მილიონი ორად დაუყენებია; სხვებს ზარალი მოუციათ, მაგრამ „ახლებმა“ ეს ზარალი გაასამეს განაკლულების მაგიერ და ეს ზარალი მით უფრო თვალსაჩინო იყო, რომ შემოსავალი ამ „ახლებმა“ შეამცირეს.

ყოველივე ეს უტყუარი საბუთია იმისი, რომ დღევანდელს გამგეობას თავისს, შედარებით დიდის ხნის, არსებობის დროს (9—10 წელი ნახევარი ხანაა ქუთაისის ბანკის არსებობისა) ვერ გამოუჩენია ვერავითარი უნარი და ნიჭი ბანკის საქმეების მართვისა, ვერავითარი შეგნება და მხნეობა ამ საქმეების შესასწავლად და საქმეების საუკეთესოდ წარსამართავად. საქმეების გაკეთების მაგიერ იმასა სცდილობდა, რაიმე ნაირად სხვისთვის ხელი შეეშალა და ერთად-ერთ საქმედ მიაჩნია ბანკის მსესხებელთათვის ფულის შემოტანის დრო გადაედვა და ამით მსესხებელთა გული მოეგო. მაგრამ ამ „ამებამ“ და გულის მოგებამ თვით მსესხებელნი აზარალა, მამულს ვალი ვალზედ ემატებოდა და გარდახდა დღითი დღე უფრო გასაჭირი ხდებოდა. ქუთაისის ბანკის ჯარიმის ფული თურმე ორ მესამედს შეადგენს მთელის მოგებისას და ამ შემთხვევაში რუსეთის იმპერიაში არც ერთი ბანკი ვერ შეედრება. ეს გულის მოგება მსესხებელ წელიწადში თითქმის 20,000 მანეთად უჯდებოდათ (1891—1895—ჯარიმის ფული შეადგენს 98,711 მან.) ამას-კი მამულის დავალიანება მოჰყვა და ზარალი ბანკისა იზრდებოდა.

ყოველივე ზემოხსენებული გვიმტკიცებს, რომ ეხლანდელმა კრებამ წარმომადგენლად ისეთი კაცები უნდა აირჩიოს, რომელთა ხელმძღვანელი იქმნება საზოგადო ინტერესი, ისეთი კაცები, რომ სინიდისიერადა და გონიერად შეეძლოთ საქმის აწონ-დაწონვა. ის ადამიანები-კი, რომელნიც არჩევნებს პირადის სარგებლობის სათარეშო მოედნად ჰხადიან, და ერთმანერთს „რევერანსს“ უკეთებენ, იქნება, უფრო მეტი კლიენტები მიშოვონ სხვა-და-სხვა სფეროში და ან რაიმე საზოგადო საქმე ჩამაგდებინონ მისის შემწეობით ხელშიო,—ასეთი კაცები უნდა განდევნილ იქმნენ საზოგადო საქმიდგან, თორემ ბანკი დაიღუპება და იმასთან ერთად ერთი საუკეთესო ჩვენი საზოგადო საქმე. ამითი-კი იმას დავამტკიცებთ, რომ არავითარის საზოგადო საქმის წაყვანა არ შეგვიძლიან და სახელს გავიტეხთ არამც თუ ჩვენს მეზობლებში, მთელს რუსეთის სახელმწიფოშიაც,—ამითი ჩვენის უსუსურობის

*) (?)
რედ.

**) (?).
რედ.

დის ქმლევა უოვლო წლობით 600,000 ფრანკი. რუსეთში მოგზაურობის დროს ფორისათვის ცალკე თანხა იქმნა გადადებული.

—

**კრიტი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, კრიტის საეროვნო კრების თავმჯდომარეს, სფაკიანაკისს, გარდაუწყვეტია პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი დაანებოს და მყუდროდ იცხოვროს თავისთვის. ბატონიშვილ გიორგის და საბერძნეთის მინისტრ ზაიმისისთვის უთქვამს მას, რომ დავსნეულდი და დონე აღარა მაქვს პოლიტიკურ საქმეებში კვლავაც მონაწილეობა მივიღოვო. ამასთანავე იმას ის აზრი გამოუთქვამს, რომ საეროვნო კრებამ თუ მიიღო ახალი კონსტიტუცია, უთუოდ ხანგრძლივის კამათის შემდეგო.

## ქართული საღამო კიევში. *)

(საკუთარის კორესპონდენტისა

წელს კიევშიც გაიმართა ქართული საღამო. პროგრამმა საღამოსი ძლიერ საინტერესო იყო. შესრულებულ იქმნა ზოგიერთი ადგილები გ. მ. ბალანჩივაძის ოპერიდგან „თამარ ცბიერი“ და სხვა ქართული რომანსები. მონაწილეობას იღებდნენ ცნობილნი მომღერალნი ქალნი და სხვ. საუკეთესო რომანსები შეასრულა საიმპერატორო თეატრის მომღერალმა-ქალმა ქ-ნმა ზოტოვისამ. ქ. ზოტოვას ისე ჩინებულად შეესწავლა ხმა, კილო და თვით გამოთქმა ქართულ სიმღერა-ლექსისა, რომ ზოგიერთ წმინდა ქართულის გამოთქმით აღტაცებაში მოგვიყვანა ქართველები. საზოგადოება ბლომად დაესწრო და საღამოს პროგრამმამ დააკმაყოფილა კიდეც.

რაც შეეხება გარეგან მორთულობას—ამ მხრივ მთელი დარბაზი მომხიბვლელ რასმე წარმოადგენდა. დარბაზი მორთული იყო აღმოსავლეთის გემოზე: ხალიჩებით, ძველებურ ისტორიულ იარაღებით, ყვავილებით და მწვანით. ფოიეში გაშლილი იყო ჩვენებური კარავი, მშვენივრად მოწყობილი. დარბაზის მახლობლად გამართული იყო ღვინის შადრევანი, რომელიც ყველას დიდად აკვირვებდა. გამგენი მორთული იყვნენ ისტორიულ და ამ დროის ქართულ ქულაჯა-ჩოხა გურულ ჩაქურათი. ერთი სიტყვით, მშვენიერი რამ სანახავი იყო. ასეთს საუცხოვო მოწყობილობას ადგილობრივმა გაზეთებმაც მიაქციეს ყურადღება და ღირსეულად დააფასეს. ერთმა ახალგაზდა რუსთა პოეტმა ნ. გლოკემ, რომელსაც ტფილისში გაუთავებია გიმნაზია და რომელმაც ზოგიერთი ჩვენი მწერლების ლექსები გადათარგმნა და რუსულს გაზეთებში დაბეჭდა—ლექსი უძღვნა ჩვენს საღამოს. ეს ლექსი დაიბეჭდა გაზ. „Кіевлянинъ“-ში.

ბ—ე

---

*) სხვა-და-სხვა შესაწყნარ მიზეზთა გამო ამ წერილის გამოგზავნა დამიგვიანდა.

ბ—ე

## დამაკვირდი

ნუ იქმნები შემკადრებელი შეუკადრებლისა, მიმწთომელი მიუწთომელისა, გამზომელი გაუზომელისა!

ნინოწმ. იოსებ ვაჩნაძე

***

ღმერთო! სიბნელე ჩვენი განანათლე, უწმიდურება განწმიდე, ნაკლულევანება აღავსე.

ლევან შანავაზის ძე

***

სიწმინდით ეცხონდებოდეთ სოფელსა ამას.

მეფე ალექსანდრე I

უეჭველ საბუთს მივცემთ ყველას ხელში და დავამტკიცებთ, რომ მზრუნველი ჩვენთვის კიდევ დიდი ხანი იქმნება საჭირო ყოველს საქმეში. ამას რომ ავცილდეთ, კრებამ ისეთი წარმომადგენლები უნდა აირჩიოს, რომელთაც გაგება აქვთ და წრფელი და უანგარო სიყვარული საქმისა, ამოირჩიოს ისეთი კაცები, რომელთაც შეგნებული აქვთ ნაკლი ბანკის საქმეებისა და მათი მმართველებისა, რომელთაც არავითარის ნივთიერის ზარალისა არ ეშინიანთ საზოგადო საქმისათვის და თამამად და უშიშრად გაუმკვლავდებიან ჩვენის საქმეების ამწეწ-დამწეწ მეთაურებს. თუ ასე არ მოიქცა საზოგადოება, თავისის მოქმედების ნაყოფს თვითვე იგემებს (ბოროტი ყოველთვის უფრო ადრე გაიდგამს ხოლმე ფესვებს და უფრო ადვილად გამოიღებს ნაყოფს, ვიდრე კეთილი) და გაიგებს შეცდომას, მაგრამ სინანული გვიანღა იქმნება.

წერილის დასასრულს არ შეგვიძლიან არ გავიმეოროთ სიტყვები იმ კაცისა, რომელიც მედგრად იბრძოდა ჩვენის ბანკების საქმეების საუკეთესოდ მომართვისათვის, მეტადრე უკანასკნელ ხანს, როდესაც ზოგიერთი მისი ამხანაგები მიდიოდნენ საქმეების ასარევად, სადაც საქმე ჩინებულად მიდიოდა, იმის მაგიერად, რომ იქ მიშველებოდნენ, საცა საქმე ილუპებოდა ***)—ნ. ნიკოლაძე ბრძანებდა და ჩვენც ვიმეორებთ:

„ბანკი, ის დაწესებულება, რომელსაც იმედით შესჩერებია ყველაფერი, რაც კი კეთილი და სახეიროა ჩვენის ერისათვის, არ უნდა გავხადოთ ბაზრად ცბიერებისა და გარყვნილებისა. როგორც ერთს დროს იერუსალიმის ტაძრიდგან გადევნილ იქმნენ ვაჭრები, რომელთაც გაებედნათ სახლი ღვთისა გადაექციათ ვაჭრობის სახლად, ისე ეხლა ჩვენც უნდა განვდევნოთ საერო საქმიდგან ყველა ის, ვისაც შიგ ცბიერება, მატყუვრობა, პირადი სარგებლობა და ხალხის გარყვნა შეაქვს. ეს უნდა გვქონდეს დედა-აზრად, მუდმივ საგნად, დაუვიწყარ მცნებად.... ახალი წარმომადგენლობის წესიც ჩინებულად გამოგვადგება... ჩვენის ერის ეკონომიური და ზნეობითი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუ ამ წესის მოქმედების დროს მტკიცედ შევიბრძვით და მოვერევით ცბიერებას და ეგოიზმს, თუ გულწრფელი ვიქნებით ერის სიკეთის ძიებაში, თუ ჩვენი გულის უძლიერესი გრძნობა ერის და ქვეყნის სიყვარული იქმნება“. (ნიკ. ნიკოლაძე. „ჩვენი საზოგადო საქმე“. „მოამბე“ № II, 1894. წლისა).

კიტა აბაშიძე

---

***) ყველამ იცის, რა გაცხარებულს მონაწილეობას იღებდა „ორ-თავიანი“ ჟურნალი „კვალი“, ტფილისის ბანკის საქმეებში, მაშინ როდესაც ქუთაისის ბანკის შესახებ არა საკადრისს გულ-გრილობას იჩენდა... შესაძლოა აქაც „ეკონომიური მატერიალიზმი“ იყოს დამნაშავე.

ავტ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რუსეთის ქალაქ ტულაში ამას წინად ორი ოჯახი ძლიერ შეწუხდა იმის გამო, რომ ერთს ოჯახს ცამეტის წლის ვაჟიშვილი დაეკარგა და მეორეს—თორმეტის წლის ქალიშვილი. ბავშვები ერთად წავიდნენ სასეირნოდ და აღარ დაბრუნებულან სახლში. მშობლები ამ შავშვებს „ხუმრობით ცოლ-ქმარს“ ეძახდნენ. დიდ ხანს ეძებეს დაკარგული ბავშვები, მაგრამ ვერსად იპოვნეს. მეორე დღეს დაკარგულ ბავშვების მშობლებს ერთმა ნაცნობმა შეატყობინა,—ორთავენი რკინის გზის სადგურზედ ვნახე, როდესაც მატარებელი მოსკოვში მიდიოდაო.

მშობლებს უნდოდათ ეს ამბავი უკვე პოლიციისათვის შეეტყობინებინათ, მაგრამ ამ დროს ვაჟიშვილის დედას დეპეშა მოუვიდა თავისის დედისაგან,—დაუყოვნებლივ წამოდი მოსკოვშიო. აღელვებული დედა იმ წამსვე წავიდა მოსკოვში და იქ თავის დედის სახლში ჰნახა დაკარგული ბავშვები. თურმე ცამეტის წლის რაინდს თავისი საცოლე მიუყვანია ბებიასთან და უთქვამს, თუ არ დაგვეხმარე ჯვარის წერაში, ორთავენი თავს მოვიკლავთო. შეყვარებული ბავშვები მოსკოვიდგან ისევ ტულაში წაიყვანეს.

***

გაზეთის „ციმბირის უწყების“ 1 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„ვისწრაფი შეგატყობინოთ, რომ ანდრეს ჰაეროსტატი ვიპოვნე. სამხრეთ ენისეის ტაიგაში ვნადირობდი და ანდრეს კვალს მივაგნე. ჰაეროსტატი ვიპოვნე ქ. კრასნოიარსკიდგან 350 ვერსის მინძილზე, სავინების მადნებიდგან 100 ვერსის მანძილზე მდინარე კიტას სათავეში სამთო ისპრავნიკის ბარიშნიკოვის ნაწილში.

ჰაეროსტატი დაშავებულია და თოკები დაწყვეტილია; სამი გვამიც ვიპოვნე. ერთს თავი აქვს გატეხილი. ჰაეროსტატისა და გვამების მოტანა შეიძლება ციგებით მხოლოდ სავინების მადნებამდე. თავმდები ვარ იმისი, რომ ეს ამბავი მართალია, თუ მეორე ანდრე არ ეწვია ამ ჩვენს ქვეყანას. მალე ტომსკში ვიქმნები. მაპატიეთ—მეჩქარება. დიაღ, ანდრეს ბედი საყურადღებოა“.

თქვენი უმორჩილესი მონა

ა. ლიალინი

24 იანვარი 1899 წ.
იურტი, ენისეის გუბ.,
სამხრეთის ტაიგა.

## გამოსადეგი ცნობა

—

თაგვების და ბაღლინჯოს გასაწყვეტი წამალი ბევრი უჩვენებიათ და სხვათა შორის ეს ადვილი წამალიც სასურველია იცოდნენ ოჯახის პატრონებმა. აიღეთ ორი გირვანქა ნახევარი შაბი, ბოთლ ნახევარი ადუღებული წყალი დაასხით და მოასხით ეს წამალი იმ ადგილებს, საცა ბაღლინჯოები არიან და საიდამაც თაგვები გამოდიან.

## შემოწირულება

—

ჩვენ მივიღეთ თელავიდგან ქ-ნ ნინო ეფრემის ასულის მგალობლიშვილისაგან ერთი თუმანი მცხეთის ტაძრის განსაახლებლად შესაკრებელ ფონდის სასარგებლოდ.

# დეპეშა

18 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ტფილისის გუბერნატორი ბიკოვი, თავისისავე თხოვნის თანხმად, დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან; კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველი მკურნალი გლავაცკი თავისისავე თხოვნის თანხმად და ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

**პარიჟი.** პრეზიდენტი ლუბე დასახლდა ელისეს სასახლეში.

**მადრიდი,** გენერალი ტორალი, რომელმაც სანტ-იაგო დაუთმო ამერიკელებს, ციხეში დაამწყვდიეს.

დედოფალს მოლაპარაკება ჰქონდა რობლეღოსთანა და ტეტუანის ჰერცოგთან. რობლედომ წინააღმდეგობა განაცხადა პალატების დათხოვნისა. კონსერვატორები ამბობენ, ამ ღონისძიებას ნუ მივმართავთო.

**ბილბაო.** მთა-მადნის 1500 მუშა გაიფიცნენ და უწესოება მოახდინეს. ხალხი პოლიციას ქვებს ესროდა.

**პარიჟი.** ბურბონის სასახლეში ბევრსა ლაპარაკობენ მთავრობის მიერ მიღებულ საშუალებაზე სხვა და სხვა ლიგების წინააღმდეგ. ამბობენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ყველა ლიგები გააუქმოსო. რადგანაც დერულედის საქმის გამო მართლ-მსაჯულებამ მიაქცია ყურადღება პატრიოტთა ლიგის უკანონოდ არსებობას, ამიტომ მთავრობას განზრახვა აქვს ყველა სხვა ლიგებიც გააუქმოს.

19 თებერვალი

**პეტერბურგი.** 19 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი ბძანდებოდა კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელში.

19 თებერვალს, ბატონ-ყმობის გაუქმების დღეს ისაკის ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე II სულის მოსახსენებლად.

19 თებერვალსვე, ბოლგარიის განთავისუფლების დღეს, ბოლგარელ ახალგაზდობის სურვილით ყაზანის ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი იმპერატორების ალექსანდრე II და ალექსანდრე III-სა და იმ მეომართა სულის მოსახსენებლად, ვინც ბრძოლის ველზედ გარდაიცვალა. გარდახდილ იქმნა აგრედვე პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ II-ს სადღეგრძელოდ,

20 თებერვალი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უბძანა გენერალ-ადიუტანტს ვონოვსკის დაწვრილებით გამოიძიოს მიზეზები და გარემოებანი იმ უწესოებისა, რომელიც მოხდა 8 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტში და შემდეგ ზოგიერთ სხვა სასწავლებლებშიაც. ამასთანავე ხელმწიფე იმპერატორმა ბძანა, რომ წესიერების დამყარება ვალად უნდა დარჩეთ ამ სასწავლებლების მთავარ უფროსებს.

**პარიჟი.** სენატი შეუდგა პრეზიდენტის არჩევანს. ფალიერს ამოუვიდა 96 თეთრი კენჭი, კონსტანს—84, ფრან-ბოვოს—50, პეიტრალს—25. ხელმეორედ კენჭის ყრა მოხდა და პრეზიდენტად არჩეულ იქმნა ფალიერი 151 ხმით. კონსტანს 85 თეთრი კენჭი ამოუვიდა.

პიკარის საქმე. სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ პიკარი და ლებლუა სამართალში იქმნენ მიცემულნი. ორთავეს ბრალად ედებათ ყალბის საბუთის ქაღალდების შედგენა, სარგებლობა ამ ქაღალდებით და ესტერგაზისა და დრეიფუსის საქმეებში გამოყენება; რადგანაც ფოსტის მტრედების საიდუმლო ქაღალდებისა და ბულოს საქმეს კავშირი არა აქვს ზემოხსენებულ საქმეებთან, ამიტომ ეს საქმე სამხედრო სასამართლომ უნდა განიხილოს.

## „ივერიის“ ფოსტა

**„რუსეთში ქართველ სტუდენტების საღამოების“** წერილის **ავტორს.** გვაცნობეთ თქვენი ვინაობა.

**ძ. ფ—ი. ვ. ა. ა—ძეს.** დავბეჭდავდით თქვენს წერილს, მაგრამ იგი, ვის დასახასიათებლადაცა სწერთ, ისეთს მდგომარეობაშია, რომ სჯობს ვდუმდეთ. ეს მდგომარეობა თქვენც კარგად უწყით.

**გ. გ—შელს.** ლექსი „ქვეყნიური სიყვარული“ არ დაიბეჭდება.

**ს. ს—შ. ტ. ა—ელაძეს.** თქვენის აზრისთანა აზრი უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში ბანკებიდგან გამოსასვლელ ფულის შესახებ და ამიტომ თქვენს წერილს არა ვბეჭდავთ.

# განცხადებანი

## მკერვალი

ევროპიულის ტანისამოსისა

## ივანე სვანიძე

გადავიდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლებში, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, № 4.

(6—16—4)

## ვაკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის,

ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.

(20—3—13).

## წყალ-წმიდის ძმობისაგან.

წყალ-წმიდის სამრევლო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა და ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.

დაიბეჭდა და გაიყიდება „წერა-კით. გამავრ. საზოგადოების“ მიერ გამოცემული

## საყმაწვილო მოთხრობანი

ეკატერინე გაბაშვილისა.

ფასი 30 კაპ.

## თესლეულობათა დეპო

გ. გ. ლარშესი

(არსებობს 1872 წლიდგან)

მადათოვის კუნძულზედ, მაღაზია № 47.

## მიღებულია ახალი თესლეულობა

საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილებისა და ბალახეულობათა. პრეისკურანტი მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—4)

Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Февраля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე